ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №22

10.08.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **გიორგი გაბაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **მარიამ თავაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
3. **სხვა დაინტერესებული პირები.**

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 6 აგვისტოს №12-0318218103-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 6 აგვისტოს №12-0318218103-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა რუსუდან მირზიკაშვილმა.

მომხსენებლის (რ.მირზიკაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა

გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - **№01181232195-67; №01181273454-67; №01181491549-67).**

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 3 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი №49, „თეელების მიწა" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 72.16.23.772, ფართობი: 1028კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01181232195-67).**

მომხსენებლის (რ. მირზიკაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01181232195-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი №49, „თელეების მიწა" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.772, ფართობი: 1028 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №№72.16.23.768, 72.16.23.767, 72.16.23.771, 72.16.23.772, 72.16.23.770, 72.16.23.769, 72.16.23.632) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №211 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების პროექტი, რომელიც ადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ქ-ნმა რ. მირზიკაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ასევე, დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1-ს ტექსტურ ნაწილში, საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა (ნაცვლად საკადასტრო კოდი: № 72.16.23.772-სა, მითითებული უნდა იყოს საკადასტრო კოდი: №72.16.23.963), რაც საჭიროებს გასწორებას.

მომხსენებლის ინფორმაცია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ასევე, დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1-ს ტექსტურ ნაწილში, საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის თაობაზე კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს.

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01181232195-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი №49, „თელეების მიწა“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.772, ფართობი: 1028 კვ.მ.) მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების საკითხის** განხილვის გადადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე (ტექნიკური შეცდომის გასწორებამდე).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

გადადებულ იქნას №01181232195-67 განაცხადით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი №49, „თელეების მიწა“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.772, ფართობი: 1028 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№01181273454-67).**

მომხსენებლის (რ. მირზიკაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181273454-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ.) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება.

ქ-ნმა რ. მირზიკაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ №01181273454-67 განაცხადის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოება ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაიწყო №01.13.07.006.005 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე და განაცხადის განხილვის

პროცესში, 2018 წლის 31 ივლისს, საკადასტრო მიწის ნაკვეთი გაიყო ორ დამოუკიდებელ ერთეულად (ს/კ:№01.13.07.006.027 - დაზუსტებული ფართობით: 2999 კვ.მ. და ს/კ: №01.13.07.006.026 - დაზუსტებული ფართობით: 11896 კვ.მ.).

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა - №01.13.07.006.005 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ორ დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთად გაყოფის შემდეგ, კორექტირებული ფუნქციური ზონის გავრცელებისა (შესაცვლელი ფუნქციური ზონის კონტურის) და დაზუსტებული ფართობის თაობაზე.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის შეკითხვას პასუხი გასცა ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომლის განმარტებით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემებში მითითებულია მიწის ნაკვეთის წინა საკადასტრო კოდი, ხოლო არსებული ფუნქციური ზონის -სატრანსპორტო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 1-ით კორექტირების საერთო ფართობის (5652 კვ.მ.) დაზუსტება უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა.

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ.) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების საკითხის** განხილვის გადადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის გასწორებამდე).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

გადადებულ იქნას №01181273454-67 განაცხადით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქალაქ თბილისში, ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.025, ფართობი: 11,13 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01181491549-67).**

მომხსენებლის (რ. მირზიკაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181491549-67განაცხადით** ქალაქ თბილისში, ქუჩა ბუაჩიძე, №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.025, ფართობი: 11,13კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს. რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე.

მომხსენებლის მიერ (რ. მირზიკაშვილი) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **გადადებულ იქნას:**

1) **№01181232195-67 განაცხადით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი №49, „თელეების მიწა“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.772, ფართობი: 1028 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების** საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.
2) **№01181273454-67 განაცხადით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა**

1-ით (ს-1) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 6 აგვისტოს №12-0318218103-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადების - **№01181491549-67**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე